ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 341

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შესანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის №25.1223.1408 განკარგულების შესაბამისად:

1.1. ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №1-ში (ს/კ. №01.10.13.015.114) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონებები, ამავე დანართით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში ვადასცეს ამავე განკარგულების დანართი №3-ის შესაბამისად;

1.2. ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №3-ში (ს/კ. №01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი №2-ით გათვალისწინებული უძრავი ქონებები, ამავე დანართით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, ერთ ერთეულ უძრავ

ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადასცეს ამავე განკარგულების დანართი №4-ის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე